ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი მეორე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

# თეთრი გიორგი

ძირს რუსეთის პატრონობა! დიდება 26 მაისს! გაუმარჯოს საქართველოს!

პარიზი
26 მაისი 1927 წ.
**N. 5**

ორგანო საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა «თეთრი გიორგი»-ს

**„St-GEORGES". Journal de la Jeunesse Patriote Georgienne**

N° 5.
26 Mai 1927
PARIS

## 26 მაისი

26 მაისი არის დღე სიხარულის და ბედნიერების. დღე რომელსაც ამ 7 - 8 წლის წინეთ, აღფრთოვანებული სიამაყით, პირზე ღიმილით და ვარდების თაიგულებით ხელში, ეგებებოდა თავისუფალი ქართველი ხალხი...

და ამასთანავე დღე, როდესაც ეხლა საქართველოში, მთელი ჩვენი ქვეყანა აწიოკებული და გლოვის ძაძებში გახვეული, იგონებს დაკარგულ ბედნიერებას! და ჩვენ აქ უცხო მხარეს ლტოლვილთ, ვით ერთ ელთ წყლებზე ბაბილონისა, თვალ წინ გვიდგია დაკარგულ სამშობლოს აჩრდილი!

დღევანდელ დღეს უფრო უდიდესი სიწყვეთ ვიდრე სხვა დღეებში ყველა ჩვენგანი ეკითხება თავს: დაუბრუნდები თუ არა სამშობლოს, ვიხილავ კიდევ ჩემს ტკბილ საქართველოს? დარწმუნებული ვართ ბევრი თქვენგანი დღევანდელ დღეს ქართულ გაზეთებს, რათა იქ იპოვოს პასუხი თავისი გულის ამ მწვავე საკითხზე.

და, აი, ჩვენ გვსურს გულწრფელად გიპასუხოთ, გაგიზიაროთ ის, რასაც ვფიქრობთ, რაცა გვწამს...

და ჩვენი სიტყვები იქნება სიტყვები იმედის, გამხნევების და სანატრელი მომავლისადმი რწმენის. დიახ, ჩვენ ყველა თეთრ გიორგიელებს გვწამს რომ ახლო მომავალში საქართველო მიიპოვებს თავისუფლებას.

ჩვენ გვწამს ეს ორი უმთავრესი მიზეზის გამო: იმიტომ რომ ჩვენი მოსისხლე მტრის რუსეთის იმპერია ინგრევა. ამ ნგრევის პროცესს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

თვით ის ეთ იმპერიებმაც კი, რომელთა საფუძველნი უბადლესი კულტურისა იყო ვერ გაუძლეს ერთხელ დაწყებულ ნგრევის პროცესს. რაც შეეხება რუსეთის იმპერიას, რომლის ერთად ერთი საფუძველი იყო და არის მხოლოდ ტლანქი მატერიალური ძალა, ის, რასაკვირველია, უფრო ჩქარის ტემპით მიდის ამ ნგრევის უფსკრულისაკენ.

და აი, ეროვნულ მონობის დაგლეჯილ ცის ტატნობზე უკვე მოსჩანან სილუეტები მომავალ თავისუფალ ერებისა, რომელნიც თანდათან უფრო მკაფიოდ იღებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოების სახეს.

ამნაირად რუსეთის მიერ დამონებულ ერების დიდ სასაფლაოდან სდგებიან უკრაინა, უკვდავი საქართველო, მთლად კავკასია და თურქესტანი;

გვწამს მომავალი თავისუფლება კიდევ იმიტომ, რომ დღეს ქართველები მძლავრად ვართ შეკავშირებული ერთ ეროვნულ იდეაში. რუსეთს ტერორის და რეპრესიების საშუალებით სურდათ დაენგრიათ ქართული სული და ეროვნული მთლიანობა, მაგრამ წინააღმდეგს მიაღწიეს. იმ ფაქტმა რომ ჩრდილოეთის გაპარპაშებამ ქართველი ხალხის ყველა შემადგენელი ელემენტები გაატარეს ერთსა და იმავე ტანჯვის ქარცეცხლში ჩვენი ერი შეაერთა და შეადუღა ერთ ეროვნულ თავდაცვის რაზმად. ვერავითარი ძალა ამ მთლიანობას ვეღარ დაარღვევს!

ნუ გვონიათ ჩვენი ქვეყნის მტრებს, რომ თუ დღეს ქართველები დაყოფილნი ვართ სხვა და სხვა, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებულ პოლიტიკურ ჯგუფებად ეს ნიშნავდეს ეროვნულ მთლიანობის დარღვევას! რა ჯგუფებსაც არ უნდა გეკუთვნოდეთ, რა სხვა და სხვა პოლიტიკურ გზებზე არ ვიდგეთ, ეს გზები არიან ყველა ჩვენს მიერ მხოლოდ ახალ საშუალებათა ძებნანი საბოლოო მიზნის უფრო ჩქარა მისაღწევად. რა სხვა და სხვა გზაზედ არ უნდა ვიდგეთ ჩვენ ყველა ღირსეულ ქართველისათვის «საქართველო უწინარეს ყოვლისა» არის. ყველა ქართველ მამულიშვილისათვის ყოველივე გზა მიდის საქართველოს საზღვრებისაკენ, რუსეთის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის ამართულ დროშის ქვეშ!

ეს დროშა მხოლოდ ეხლა და ჩვენის ხელით არ არის ამართული. ის, ჩრდილოეთის ველურების შემოსევის პირველ დღეს, ალექსანდრე ბატონიშვილმა აფრიალა.

და ამ რაინდ ბატონიშვილის ჯარის დემობილიზაცია ჯერ არ მომხდარა.

ყველა ისინი, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდენ ამ 125 წლის განმავლობაში იყვნენ მხოლოდ სხვა და სხვა რაზმები მისი ლაშქრისა. ეს ლაშქარი ამ გრძელ წელთა განმავლობაში ხან დროებით იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა, მშვიდდა, ხან პატრიოტულ ახალი ცეცხლით ანთებული, დაფარული ბაირაღებით ხელში მიჰქროდა წინ იერიშებზე, ხან გაფლეტილი და გაფანტული სასოწარკვეთილებას ეძლეოდა მაგრამ მებრძოლ სულს არასდროს არა ჰკარგავდა!

ამ დიდებულ ისტორიულ ლაშქრის რაზმი რაზმზე აკვდებოდა მტერს...

აი ე გმირულად დაიხოცნენ 1802 წელს გუდამაყრელნი, მთიულნი, ფშავნი; 1804 წელს იგივე მთიულნი, ფშავნი, ხევსურნი იბრძვიან და იხოცებიან; 1812 წელს მთელი კახეთი თავადი თუ გლეხი თელავის ციტადელზე აფრიალებს გამარჯვების და თავისუფლების დროშას, მაგრამ საბოლოოდ მათაც სისხლის მორევში ახრჩობენ! 1813 წელს ქართლ-კახეთის, ხევსურეთის და დაღესტნის საუკეთესო გმირნი ბატონიშვილ ალექსანდრეს უდგებიან გვერდში, იბრძვიან და იხოცებიან.

1819-20 წლებში იმერეთი წულუკიძეების და აგაშიძეების მეთაურობით, სამეგრელო გიორგი დადიანის ხელმძღვანელობით, შემოქმედის ციხის კოშკებზე მედგრად მებრძოლნი გურულები და აჭარლები; მსოფლიო ომის დროს ქართული ლეგიონი თავისუფლების დროშით ხელში გმირულად მებრძოლი ლაზისტანის და აჭარის მთებში; ჩოლოყაშვილის თავგანწირული რაზმი; და მთელი ქართველი ახალგაზრდობა მომავალ სანატრელ ბრძოლისათვის გამზადებული — ყველანი იმავე ბატონიშვილ ალექსანდრეს რაზმები არიან.

ნუ შევდრკებით გულით. ახლოა ჟამი როცა მისი დიდებული აჩრდილი მოგვიხმობს ხელახლად ბრძოლის ველზედ და წინ გაგვიძღვება. და ჩვენ გვწამს ღრმად, რომ როგორც 1802 წლის მებრძოლნი მთიულები შეადგენდენ მის მოწინავე რაზმს და თავისი პირველი იერიშით გახსნეს ასი წლის ომი, ისე დღევანდელი პატრიოტი მებრძოლნი შეადგენენ მის ბრძოლის ველის გადამწყვეტ, უკანასკნელ რეზერვს, უკანასკნელ იერიშის ტალღას და ჩვენ გამარჯვებით დავაგვირგვინებთ მთელი საუკუნის თავგანწირულ სულისკვეთებას!

და როდესაც 26 მაისის სიმბოლიურ დღეს ჩვენ—თეთრი გიორგიელები — სასოებით ვფიქრობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ჩვენ მას უერთებთ და უკავშირებთ ალექსანდრე ბატონიშვილის ისტორიულ ლაშქარს. ჩვენ ის მიგვაჩნია ამ ლაშქრის ღვაწლის, თავგანწირვის და დაღვრილ სისხლის შედეგად.

ხოლო მათ, ვინც შეათხზეს და მოაწერეს ხელი დამოუკიდებლობის აქტს ჩვენ ვყოფთ და ვმიჯნავთ 26 მაისის ეროვნულ და ისტორიულ მნიშვნელობისაგან. და ეს იმიტომ რომ ეს აქტი არ გამოხატავს მთელი საუკუნის თავგანწირულ ბრძოლის და სულისკვეთების შინაარსს და მისწრაფებას. დიახ, ეს აქტი, რომელიც ერის სამარცხვინოდ საქვეყნოდ აცხადებს რომ საქართველომ იძულებით გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რადგან ის რუსეთმა თავის ანაბარა მიატოვაო, ღალატობს და ყალბად გამოხატავს იმ აზრს, რომელსაც სდებდენ თავის ბრძოლის მიზანში საქართველოს მეომარნი. ეს «აქტი» მჭერმეტყველი პრელუდია იყო იმისი რაც მოხდა: საქართველომ ადვილად დაჰკარგა დამოუკიდებლობა. თავიდანვე აშკარა იყო, რომ 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ავტორნი ვერ დაიცავდენ საქართველოს თავისუფლებას.

ჩვენ ცხოვრებაში, როგორც ხშირად ხდება სხვა ერთა ისტორიაშიც, მოხდა უდიდესი პარადოქსი: ეს პარადოქსი მდგომარეობდა მასში, რომ ერთნი მთელი საუკუნის განმავლობაში იბრძოდენ შეუდარებელი სიგმირით ყველა დარგში ჩვენი ეროვნული გამომჟღავნებისა: ბრძოლის ველზე, საყდრის, თეატრის, პრესის, პოლიტიკის, მწიგნობრობის საშუალებით დამოუკიდებლობის ნიადაგის მოსამზადებლად და მის მოსაპოვებლად და მეორენი მტერნი და წინააღმდეგნი ამ დამოუკიდებლობისა დაეპატრონენ მათი ბრძოლის შედეგს — დამოუკიდებლობას, გამოაცხადეს მისი «აქტი» და მოისურვეს მისი დაცვა. და რასაკვირველია ამ პარადოქსმა დაღუპა საქართველო.

მაგრამ აღსრულდა! ამ საშინელმა გაკვეთილმა თვალები აგვიხილა. საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობის «აქტი» უნდა შეთხზას და მოაწეროს მასზედ ხელი საქართველოს ისტორიულმა ლაშქარმა. მათ ვინც იბრძოლეს მთელ საუკუნე!, მათ ვინც არიან სულიერი და იდეური შემკვიდ

რენი და გაგრძელება გმირთა, რომელნიც თავისუფლების პირველ საყვირზე გამოვიდნენ ბრძოლის ველზე. ეს აქტი იქნება თეთრ გიორგელი და იტყვის:

«საუკუნეზე მეტი ბრძოლის შემდეგ ქართველმა ხალხმა საბოლოოდ გასდევნა თავის საზღვრებიდან ვერაგი მტერი რუსები და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას».

ლეო კერესელიძე.

## მრავალ ჟამიერ ქართველ ერს.

26 მაისი 1918 წელი. ეს დატა უსიტყვოდ მეტყველი ერის მიერ ნაკურთხი დატაა. ამ დღეს ქართველი მოშორდა სიბილწეს და განსპეტაკებული თავისი თავი იცნო.

ჭეშმარიტად, ეს იყო სასწაული და ამის მოხდენა მხოლოდ და მხოლოდ მძლავრ წარსულის პატრონ ერს შეეძლო. საქართველო გაპარტახებული, ღატაკი და ძალა მიხდილი დღეს მაინც შეუდარებლად მდიდარია და ეს სიმდიდრე მისი წარსულია.

თამარი, დავით, პატარა კახი, ალექსანდრე ბატონიშვილი და უმრავი სხვა მამულიშვილნი ბრწყინვალე მარგალიტებივით მოსჩანან საუკუნეთა წყვდიადში. ესენი არიან ქართულ გენიის, ძლევამოსილების განსახიერება.

საქართველოს ისტორია უხსოვარ დროში რომ იკარგება, არის ცეცხლით და მახვილით დაწერილი.

სამშობლო მიწა-წყალი საუკუნეებით გაპოხიერებულ გმირთა სისხლით ძვირფასია ქართველისთვის და მის გაფთრებულ დაცვაში იგი ლომივით ევლინება ხან არაბ და მონგოლს, ხან სპარს და თურქს. ამ რიგად ქართული სახელმწიფო გადურჩა ყოველივე ისტორიულ ქარიშხალს და მისმა გვირგვინმა, რომელსაც ხშირად კავკასიის საზღვრები გადულახია აქაყად მოიტანა თავი მე-19 საუკუნის კარამდე.

დადგა მე 19 საუკუნე და შემოიჭრა ჩვენში რუსი, ეს უმგზავსთა უმგზავსობა, კაცობრიობის უველურესი ჯიში.

რუსის ბატონობით დაიწყო ჩვენში შავი ხანა და ის წყლულება, რომელიც ქართველმა მიიღო ამ სვავის ჯიჯგნით კიდევ დიდის ხნით დარჩება განუკურნავი. სიცრუე ის აზრი ვითომ ქართველი მოწიწებით შეხვდა რუსის ბატონობას. ეს იქნება მთელი ჩვენი ისტორიის და ბუნების უარყოფა.

ქართველი მედგრად ებრძოდა შემოსეულ მტერს, მაგრამ რაინდულ ბრძოლებში გამოზრდილი, სადაც ხმალი და ვაჟკაცობა სწყვეტდა ყველაფერს, მან მტრის სიმრავლეს და ვერაგობას ვერ გაუძლო და წელში მოსწყდა.

აქა იქ მოსჩანდენ კიდევ რჩეული მამულიშვილნი, რომელთაც საკვდილამდე ხმალი ქარქაში არ ჩაუგიათ, მაგრამ თვით საქართველო კი განადგურდა ფიზიკურად, განიავდა მისი დოვლათი და გუშინდელი არწივი გახდა სამარცხვინო მონა ველურ მონგოლისა.

რუსეთმა კარგად იცოდა რომ მთელი სიძლიერე პატარა ქართველ ერისა იყო მის წარსულში, საიდანაც მოსჩქეფდა უშრეტი წყარო ქართულ შხნეობისა. ამიტომ იწყება დევნა ქართულ ენისა, მწიგნობრობისა, ეკლესიისა და საზოგადოთ ქართულ აზროვნების.

საქართველოს ყოველმხრივ კარი ჩაეკეტა განათლებულ ქვეყნებისკენ. მისი ყველა გზები მხოლოდ მოსკოვ-პეტერბურღისკენ მიდიოდნენ. ამ რიგად რუსეთი გახდა საქართველოს სულის და ხორცის უსაზღვრო ბატონი. შეხუთდა სული, ერი ვეღარ გრძნობდა თავის მაჯის ცემას. იგი მოსწყდა თავის ისტორიას და დაგეშავებულ და გაღატაკებულ ქვეყანაში გამეფდა სიცალიერე აზრისა და მოქმედებისა.

დაკნინდა ქვეყანა, წახდა ენა, გაირყვნა აზრი და რუსის პრეტენზიებით სავსე «კულტურა» მძიმე ლოდივით დააწვა ტანჯვით მიბნედილ ქართულ სულს. რუსის მწერლობის ლოთური ბუნება თავის ავადმყოფურ მისტიციზმით და პორნოგრაფიით საწამლავივით მოედო ქვეყანას. ყველაფრის ნგრევა, არაფრის შექმნა, ეს რუსულ ბუნების დიდი გენია, დამჯდარ ქართველ ხალხსაც გადაედო.

გაგურძგნული, პირუგანელა რუსის ნიჰილისტის ტიპი, რომელიც თავის ჭკვიან თავზე მთელი ქვეყნის ჭუჭყს ატარებდა, საქართველოშიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

გადაგვარების სიმპტომები საზოგადოების ყველა ფენებში შეიჭრა.

წარჩინებული წოდება პირად კარიერას გადაჰყვა, მის გონებას საქართველოსთვის არ ეცალა.

დაბალი წოდება, ეგრედ წოდებული დემოკრატია უარესად იყო რუსით მოჯადოებული. მისი ზრახვა და ფიქრი იყო მხოლოდ რუსული.

ვრცელდება ჩვენში საეჭვო ღირსების დოქტრინები, ვითომც საკაცობრიო, მაგრამ ნამდვილად კი რუსული, რომელიც ქართველი ხალხის გარუსებას ჩინებულად ასრულებს. სხვა და სხვა ჯურის ქართველი სოციალისტები, ეს თითქოს საკაცობრიო დონკიხოტები იყვნენ, შეიძლება მათ და უნებურად, ვულგარული აგენტები რუსის ნაციონალიზმისა.

მათთვის ყოველივე იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა იყო რეაქციონერების და ფეოდალების მოგონილი. რუსის დემოკრატია ჩვენში ღმერთი გახდა, მასზედ ლოცულობდენ ისეთი ფანატიზმით, რომ არა ერთი ქართველი გაწირულა რუსულ იდეისათვის სადმე ციმბირში ან ციხეებში. ქართულ საქმეს კი წისლის ჩამკვრელის მეტი არავინ ჰყავდა. აი ასეთ საშინელებამდე მიაღწია დეგენერაციამ. რუსეთი, თავის ვერაგულ პოლიტიკით ჩვენივე ხელით ყელს გვჭრიდა.

## თეთრ გიორგელთა სიმღერა

ჩვენ მოვევლინეთ საქართველოს განწირულ დროში.
მივიღოთ ზეცამ, მაგრამ მიწა გვეძახის გერებს.
მივდივართ მწყობრივ ბნელ ღამეში გიორგის დროშით.
დავგმეთ წითელი და ვადიდებთ წარსულის ფერებს.

ჩვენ შეგვიყვარდა სიტყვა «კონა» და გლეხის კალო,
მაგრამ თხრილებში ვეგებებით ვარდისფერ აისს...
და ერის ზამთარს გარიჟრაჟზე ისე უგალობთ,
როგორც ოდესღაც უგალობდით 26 მაისს.

მივდივართ ქარში, მძიმე მარშით, გამართულ ფეხით
და გვჯერა მთვარე ვერ წაშლიდა მთებში მზის ნავალს.
ჩვენს მიწა წყალზე გავივლით მეხით,
რომ გაუკაფოთ გზები მომავალს!

ს. ბერეჟიანი.

თეთრ გიორგელთ და თანამგრძნობთ გილოცავთ 26 მაისს.

მთავარი სამდივნო.

დაბოლოს საქართველო, ათას წლოვანი სახელმწიფო გადაიქცა რუსის ორ გუბერნიად ადმინისტრატიულად და... კულტურულად, რომელთაც ჩვენი «ერთმორწმუნე ქრისტიანული რუსეთი» განაგებდა თავის ლოთ და მექრთამე ღუბერნატორ—ისპრავნიკებით.

*
**

ამ რიგად საქართველო თითქოს განწირული იყო გზდით. მის დედა მიწის ზურგიდან აღგვას არაფერი აკლდა. სხვა ერი მის ადგილას დიდი ხანია ჩაბარდებოდა ისტორიას. (მაგალითია ებრაელები. ფულიც ბევრი დახარჯეს, მორალური ენერგიაც, მაგრამ როცა ერი არ ერობს ყველაფერი ამაოა).

და აი ამ მძიმე კრიზისის დროს როდესაც პატარა და დიდი მტერი ტურებივით საქართველოს ლეშს ელოდენ, წარსულმა საქართველომ იხსნა დღევანდელი საქართველო.

მოხდა ნამდვილი სასწაული. სამშობლოს კულტი ათას წლობით რომ მეფობდა ქართველთა გულში, მუჟიკთა სირეგვნეს ვერ მოესპო. ეს ყოფილა უხილავი მაგრამ უკვდავი ძალა, რომელსაც ვერ სწვდებოდა მტრის გინძური ხელები

ამ კულტმა მისცა ჩვენს სამშობლოს შეუდარებელი გმირები, გენიოსი მწერლები, შარავანდედით მოსილი წამებულნი.

იგი, სასიცოცხლო ნაწილი ქართულ ორგანიზმისა, მიიფერფლა სადღაც გულის კუნჭულში და გადაურჩა მტრის ვაკხანალიას.

თვითეული ქართველი ინსტიქტიურად გრძნობდა თავის თავში ამ ძვირფას საუნჯეს, როდესაც მწარე განცდების წუთებში, ჯიუტად გაიძახოდა: «არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს»-ო.

და ჭეშმარიტად მას მხოლოდ ეძინა. დადგა დრო და იგი ამეტყველდა. ამეტყველდა და მძლავრად, ვინაიდან მის უკან იყო საქართველოს მთელი ისტორია.

ამოხდა სული ალექსანდრე ბატონიშვილისა, ამოქმედდა მძლავრი კლავი პატარა კახისა, ჯიუტობა გიორგი სააკაძისა, ქართველი ქალის ნამუსი გაწითლდა თამარ და ქეთევანის წინაშე.

წამოიჭრა ფეხზედ საქართველო, ახალი სულით განახლებული. ოთარ ბეგებმა იგრძნეს სირცხვილი და უძღარ შვილებივით სამშობლოს დაუბრუნდნენ.

დღეს საფერლვანი თეთრი გიორგის დროშა იკრებს მთელ საქართველოს. იგი ერთის ფიქრით არის შეპყრობილი ერთი ძალით მოჯადოებული. ეს არის სამშობლოს გაწმენდა რუსებისაგან, მისი დამოუკიდებლობა.

ამიტომ 26 მაისი, დატა როდესაც ლეჩაქ ახდილმა ერმა თავისი ღირსება და ნამუსი დაიბრუნა, მტერი და მოყვარე გაარჩია, არის დატა ჩვენი ეროვნულ აღდგომისა და ქართველი ერის უკვდავებისა.

მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ქართველი მატიანე კვლავ მშვენდება ათასობით წამებულ მამულიშვილთა სახელებით. ტაბახმელას გმირები, წმიდა მამა ამბროსი—ეს ბრწყინვალე ისტორიის განმეორებაა.

ქართველი იგრძვის სიშმაგით და რუსის ცოფ მორეული სიმხეცე ვეღარ დააკავებს მას. იცოდეს მტერმა რომ 26 მაისი ქართველის ხელში უძლევი იარაღია და თუ 1918 წლის ამ დღის ზეიმს კიდევ სწამლავდა რუსეთიდან მოთრეული წითელი ბაირაღები, საბოლოო გამარჯვებაში ერთად ერთი დროშა, რომელიც დაჰფარავს მთელ საქართველოს, ეს იქნება უძლეველ თეთრი გიორგის დროშა და 26 მაისი სულ სხვა ბრწყინვალებით შეიმოსება.

დღეს კი, როდესაც კიდევ სამშობლოს მთა და ბარი მამულიშვილთა წმიდა სისხლით იჟღინთება, მთელი ქართველი ერი დიდების გუგუნით სახელოვან ბრძოლას განაგრძობს.

ვაშა ამ ბრძოლას, ვაშა ქართველ ერს!

ვ. ციცქიშვილი.

## უკვდავება სამშობლოსათვის დაცემულთ!

ახალგაზრდობის მცირე ნაწილს ჩვენ წილად ხვდა... ლი სამშობლოსათვის 1921 წელს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ ერთხელ კიდევ მონობაში შეჰყო თავი. წარსული გმირობის და რაინდობის ნაშთი უმნიშვნელო აღმოჩნდა.

მაგრამ უსახელო 1921 წელმა ვერ გააუქმა საქართველოს მრავალწლოვანი ისტორია.

კვლავ გამოფხიზლდა ერის სინიდისი, — კვლავ გამოვიდა ბრძოლის ველზე ძალა მთელი თავისი ეროვნული მრისხანებით, მთელი თავისი გმირული თავგანწირვით და წარსულს ისევ მრავალი ახალი წამებული შეემატა.

სისხლით გაიჟღინთა სამშობლოს მიწა.

უთვალავ საფლავებმა დაჰფარა საქართველო,.

ისევ გაჩნდენ მისაბამნი, რომელთა სისხლით წარეხოცა სირცხვილი დღევანდელ საქართველოს.

მათ კვლავ აღმართეს დიდების დროშა, რომელზედაც წარუშლელ მცნებად გამოსახეს საქართველოს მომავალი.

მათ ისევ დაუბრუნეს საქართველოს სახელი და დიდება და აღადგინეს გმირული აღმაფრენა; სისხლით აღგზნეს საქართველოს გარდუვალი ნებისყოფა, ძვლებით მოკირწყლეს შორეული ციმბირი; მათ აღადგინეს უღირსეულეს წინაპართა ანდერძი — დროთა განმავლობაში მივიწყებული, უკანასკნელ წლებში შეურაცყოფილი.

კვლავ გაისმის მედგარი ხმა სამშობლოსათვის თავგანწირულთა:

«სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ, ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია, იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს შეკრულთ»!

«საზეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სიმტკიცე... მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესი ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს».

«ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ... მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვთ პასუხს».

ასეთი სიტყვებით შეხვდენ სიკვდილს საუკეთესო მამულიშვილნი, რომელთა ფიქრი და ოცნება უკანასკნელ წუთამდე საქართველოს ეკუთვნოდა.

და როდესაც ეროვნულ ზეიმის დღეს 26 მაისს ჩვენ, თეთრი გიორგელები თაყვანისცემით ვიგონებთ ამ დღისათვის წამებულთ, ჩვენ ვეუბნებით მათ: თეთრი გიორგი აიღო თქვენ მიერ სახელოვნათ ტარებული საქართველოს გაირაღი, მან ფიცი დასდო ატაროს ის, იბრძოლოს მისთვის; მან ფიცი დასდო არ შელახოს წინაპართა სახელი, არ შეურაცყოს 19 მაისის და 1924 წელს დაცემულთა სისხლი.

მან ფიცი დასდო ანთებული ბრძოლის ცეცხლი გააღვივოს, სანამ მტერი ფერფლად არ იქცევა, მან ფიცი დასდო სისხლით განბანოს მტრის ჩექმით წაბილწული სამშობლოს ყოველი ნაჭერი.

სისხლით და მხოლოდ სისხლით განამტკიცოს ქართული სული, აღადგინოს სამშობლოს კულტი, რაინდობა და სიძლიერე.

თეთრი გიორგი ნეტარებით მოელის იმ დროს, როდესაც ტფილისის ქუჩები მარქს-ლენინ-ტროცკის სიმახინჯისაგან გაიწმინდება და ეროვნულ გმირთა ძეგლებით გალამაზდება. თეთრი გიორგი აღფრთოვანებით ელოდება იმ დღეს როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის და სხა დაწესებულებათა კედლებს მარმარილოს დაფაზე გამოქანდაკებული სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელები დაამშვენებენ.

თეთრი გიორგი იბრძოლებს ამ დღისათვის თავდავიწყებით, ის გაჟღენთილია იმედით და რწმენით საქართველოს ბრწყინვალე მომავლისადმი.

აღებულ დროშას ის ამაყად ატარებს და საპატიოვნად გადასცემს შემდეგ თაობას.

გ. სალია.

## ალექსანდრე ბატონიშვილის საღამო.

შაბათს 11 ივნისს საღამოს 8 ს. და 30 წ. *Sociétés Savantes Rue Serpente*, თეთრი გიორგი მართავს ალექსანდრე ბატონიშვილის საღამოს.

გამომცემელი: საქართველოს პატრიოტული ახალ. თეთრი გიორგის საზღვარგარეთელი მთავარი სამდივნო.

EDITION :
Secrétariat Général de la Jeunesse Patriote
Georgienne à l'Etranger

Rédaction : Thethri GUIORGUI
19, Rue Roger,, 19 — PARIS (14e)

Imprimerie P. et A. DAVY, 52, rue Madame, Paris.

Le Gérant : Félix Kaldenpach.